№ 126 ივნისი 16, შაბათი 1890 ივნისი 16, შაბათი № 126

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას აკაიაშ, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გიორგი, ნიკოლოზ, დავით და სიმონ ბესარიონის ძენი ღოღობერიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მეორმოცე დღეს გარდაცვალებისა დისა მათისა ანნა ბესარიონის ასულის მესხელაშვილისა 21 ივნისს, 11 საათზე, დილით, ქუთაისის საკათედრო სობოროში იქნება გარდახდილი პანაშვიდი. (2—2)

## Отъ конторы редакцiи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ხაშურში—თავ. ანჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

### ქართული თეატრი

(როსსის წარმოდგენები)

შაბათს 16 ივნისს

„მაკბეტი“

ტრაგედია 5 მოქმედებად, თხ. შექსპირისა. მაკბეტის როლს შეასრულებს ბ. როსსი

კვირას, 17 ივნისს

„ჰამლეტი“

ტრაგედია 5 მოქმედებად.

ჰამლეტის როლს შეასრულებს როსსი. ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდის და $4^1/_2$ საათიდამ წარმოდგენის გათავებამდე. ბალი განათებული იქნება ელექტრონით. თეატრის ადმინისტრაცია სთხოვს პარტერში მჯდომ მანდილოსნებს შლაპები მოიხადონ.

დასაწყისი 8 საათზედ.

დაკვეთილი ბილეთები დილის 12 საათამდე შეინახება. ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში დილის $10—2^1/_2$ საათამდე და. სალამოს $4^1/_2$ საათიდგან წარმოდგენის გათავებამდე. ლიბრეტოები: ფრანგულსა, იტალიანურსა და რუსულს ენაზე ისყიდება თეატრის კასაშივე.

თეატრის ადმინისტრაცია მაყურებელ ქალებსა სთხოვს, რომ პარტერში შლაპები მოიხადონ.

ადმინისტრატორი ფორკატტი

კერძო სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი მომსვლელთა ავადმყოფთათვის და მუდმივ საწოლებით. ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: შინაგანის ავადმყოფობისათვის მიიღებს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა და ვენერიულისათვის—ლ. ა. გავსეევი, საბებიო და ქალის ავადმყოფობისათვის—ექიმი-ქალი მ. ფ. კალანი, თვალის ავადმყოფობისათვის—ს. ს. გალოყანი, ელექტრონით ექიმობას იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) ნაშუადღევის ხუთის საათიდამ შვიდ საათამდე ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი პ. კ. კეიხელი.

სამკურნალოსთან არის გამართული კაბინეთი ავადმყოფთა დასაზელად, (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით, და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ღირება სამი მანეთი.

შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟს), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი—გარიგებით.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივ ქავშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლში, ქუთაისის ბულვარის პირდაპირ.

სამკურნალოს დირექტორი ს. მ. ბ. თოფურია

(5—1)

## ახალი ამბავი

*** 13 ივნისს კავკასიის მთავარმართებელმა გენერალ ადიუტანტმა ს. ა. შერემეტევმა ინახულა სამხედრო უწყების მოხელეები და 14 ივნისს მოხელეები სამოქალაქო უწყებისა, უცხო სახელმწიფოთა ელჩნი, ქალაქის საბჭოსი და სხვა და-სხვა წოდებათა წარმომადგენელნი. ქალაქის თავმა ა. ს. მატინოვმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ იმედი აქვს მთავარ-მართებელი მიაქცევს თავის ყურადღებას ქალაქის საჭიროებასაო. შემდეგ მთავარ მართებელმა ინახულა ტფილისის ამქრები, რომელნიც ბაირაღებით იდგნენ სასახლის შესავალთან.

*** ხუთშაბათს, 14 ივნისს, ბანკის თეატრში იყო დანიშნული ბენეფისი ერნესტო როსსისა. წარმოადგინეს მეორედ დრამა დელავინისა: „ლუდოვიკო მე-XI“. თეატრი სავსე იყო ხალხით. მობენეფისეს რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს: ტფილისის მკურნალებმა დაფნის გვირგვინი ლენტითა და ზედ წარწერით, ბ-ნმა ფორკატიმ—ჰაუდზე აბრეშუმით ნაკერი სამკაული ოთახის მოსართობად, სა არტისტო საზოგადოებამ ადრესი, ვერცხლის გვირგვინში ჩასმული, მხატვრობით, ქართველმა საზოგადოებამ—ხმალი, რომლის ქარქაში სპილოს ძვლისა იყო, ოქროთი ნასევადევი, ქართულ დრამატიულის დასის არტისტმა-ქალმა გაბუნია-ცაგარლისამ—გვირგვინი ყვავილებისა ზედ წარწერით: „გენიოსს არტისტ როსსის“.

ბ-ნმა როსიმ ამ ხანადაც ჩვეულებრივის ხელოვნებით შეასრულა როლი „ლუდოვიკო მე-XI-“ისა, რომელსაც დამბლა აქვს დაცემული, სულით და ჯანით დაავადებულია და დასნეულებული, მაგრამ მაინც გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს სახელმწიფო საქმეებს, მაგრად ჩაუჭიდნია ხელი სამეფო გვირგვინისათვის, ეჭვით შეჰყურებს ყველას, თვით თავის შვილსაც-კი, ცბიერია მელასავით და არავითარს ღონისძიებას არ ჰზოგავს თავის მტრების შესამუსრავად. თანაც მეტად ფარისეველია და ლალატით კაცის მოკვლის ბრძანებას რომ აძლევდეს თავის ყურ-მოჭრილს ყმას და ზარის რეკა შემოესმას, ქუდს იხდის და მოწიწებით იწყებს ლოცვების ჩიფჩიფს ხელ-აპყრობით და პირჯვრის წერით, ხოლო ლოცვის შემდეგ კვლავ განაგრძობს თავის საციცხლო საქმეს იმათის მოკვდინებისა და წამებისას, ვინც თვალში არ მოსდის.

ასეთის როლის შესრულება, სულითა და ჯანით ავადმყოფის კაცის განხორციელება, გაცოცხლება სცენაზე სრულიად ჯან-საღის ადამიანისაგან—დიდი და მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ როსისთანა არტისტისათვის არავითარი ამ გვარი სიძნელე არ არსებობს: რა გრძნობა გინდათ ადამიანისა, რა გრძნობის მიმოხვრა და მიმოკრთომა, რომ ამ საკვირველმა არტისტმა არ დაგანახვოთ, არ წარმოგიდგინოთ საკვირველის ხელოვნებითა და ოსტატობით. ისინიც-კი, ვინც სათეატრო ხელოვნება ზედ მიწევნით იციან, უნახავთ სხვა როსისთანა შესანიშნავი არტისტები, სრულს ილიუზიას ეძლევიან, ავიწყდებათ, რომ თეატრში ვართო და იმასვე ჰგრძნობენ, რასაცა ჰგრძნობს არტისტი, თავის როლის მიხედვისამებრ. ისინი ხომ, ვინც პირველადა ჰხედავს ასეთს სასწაულთ-მომქმედს ხელოვნებისას, გაკვირვებულნი და გაოცებულნი, სრულიად თავ-დავიწყებულნი და აღტაცებულნი ეძლევიან მისს თამაშობის ზედ-მოქმედებას. ტყუილად არ ამბობენ, რომ როსი მეფეა ხელოვნებისაო.

*** ქალაქის თავს უთხოვნია ტფილისის სამკურნალო უწყების უფროსის ბ-ნ გლავაცკისთვის, რომ გვაცნობეთ სანიტარული მდგომარეობა ქ. ტფილისის სხვა-და-სხვა ნაწილისა და აგრეთვე აგვიხსენით მიზეზი სხვა და-სხვა გადამდების სენის გაჩენისა ზოგიერთ ადგილებშიო.

*** ტფილისის მეორე გიმნაზიაში სულ 17 შეგირდმა დაამთავრა სწავლა და მიიღო მოწმობა კურსის შესრულებისა. ამათში ქართველი მხოლოდ ორია: სამსონ გელოვანი და ელიოზ ლ...

*** დიდი უბედურება სწვევია იმ საოპერეტო დასს ფრანგებისას, რომელიც, კლოდიუსის მეთაურობით,

# ფელეტონი

### საბიბლიოგრაფიო შენიშვნა

პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, მეორე, შევსებული გამოცემა 1889 წ.

მართალია, შარშან „ივერიაში“ დიდი ბაასი იყო ამ გრამატიკის გამო, მაგრამ ის კერძოობა მისი, რომელზედაც ეხლა ჩვენ ვაპირებთ ლაპარაკს, უყურადღებოდ დარჩა. რასაკვირველია, ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ ეხლა ვრცლად გაგვერჩია ეს გრამატიკა, მაგრამ მკითხველს ეცოდინება, თუ რა ძნელია ახეთი საქმე და ამიტომ ვარჩიეთ მივაქციოთ ყურადღება მხოლოდ იმას, რაც უფრო გამორკვეულია და რაშიაც ძნელია შეცდომა, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ავტორს-კი მაინც ვერ აუცილებია თავიდამ. ამას თვითონ მკითხველი დაინახავს, როცა ჩვენს წერილს გადიკითხავს.

თავის წიგნის მეორევე გვერდზე ავტორი გვეუბნება: „ქვემდებარე არის საგანი, რომელზედაც არის ლაპარაკი წინადადებაში“. რადგანაც ქვემდებარე შეიძლება საგანი არ იყოს, ამიტომ ეს განმარტება ჩვენ სწორე არ მიგვაჩნია. მაგ., ვაი მოისმის; მთელი ნახევარზე მეტია და სხვ. უფრო კარგი იქნებოდა ასე: ქვემდებარე არის ის, რაზეც ლაპარაკია წინადადებაში.

აქვე ავტორი გვეუბნება: ქვემდებარე და შესმენილი იწოდება უმთავრეს ნაწილებად“. ნუ თუ ამ შემთხვევაში არ უნდა დაემატოს, რა მიზეზით იწოდება ქვემდებარე და შესმენილი „უმთავრეს ნაწილებად“? მემგონია, კარგი იქნებოდა, რომ ავტორს ეთქვა: ქვემდებარე და შესმენილი იწოდება უმთავრეს ნაწილებად, რადგანაც უამისოდ არ შეიძლება წინადადებაო.

მე 4 გვერდი: „ამხსნელი სიტყვა, რომელიც წინადადებაში მარტო შესმენილს ეკუთვნის, იწოდება დამატებად“. შეიძლება ბევრჯელ ამხსნელი სიტყვა შესმენილს ეკუთვნოდეს და დამატებაკი სრულებითაც არ იყოს. როცა შესმენილი არსებითი სახელია, მაშინ ყოველთვის უთუოდ ავტორი განმარტებას დამატებას უწოდებს, რადგანაც ყოველი სიტყვა, რომელიც არსებითს სახელს ეკუთვნის, არის განმარტება. მაგ., მტრედი მშვიდი ფრინველია, ვარდი მშვენიერი ყვავილია. ამ ორივე ზემოხსენებულ წინადადებაში „მშვიდი და მშვენიერი“, რადგანაც შესმენილს ეკუთვნის, ავტორის სიტყვით, უნდა დამატება იყოს, თუმცა ნამდვილად განმარტება არის. იქნება ავტორმა სთქვას რომ « მშვენიერი და მშვიდი » არც ერთ დამატების საკითხავზე არ მიუგებსო და ამიტომ არც დამატება იქნებაო, თუმცა შესმენილს ეკუთვნისო. არ ვიცი, რა ყოფაში იქნება ის შეგირდი, რომელსაც ესეთი მაგალითი შეხვდება გასარჩევად? ერთის მხრით დამატებაა, მეორეს მხრით-კი არა. ეს შეცდომა იმიტომ მოსდის ჩვენს ავტორს, რომ სუყველა შესმენილი ზმნა ჰგონია; დამატება არის ისეთი ამხსნელი სიტყვა, რომელიც წინადადებაში მარტო მოქმედებას (ზმნას) ეკუთვნის და მიუგებს ავტორისგან ჩამოთვლილ საკითხავებზე. მაგალითად, „ზღვა კოვზით დაილევა“, „ძალა აღმართსა ხნავს“. და სხვ.

მე 5 გვერდი: „ამხსნელი სიტყვა, რომელიც ჰხსნის წინადადებაში ქვემდებარეს ან დამატებას, იწოდება განმარტებად“:

განმარტება სუყოველთვის ეკუთვნის საგნის სახელს (არსებ. სახელს), და ამიტომ, როცა შესმენილი არსებითი სახელი იქნება, სუყველა სიტყვა, რომელიც იმ შესმენილს ეკუთვნის, განმარტებაა, და ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ ავტორს მოკლედ და სწორედ მოეჭრა—განმარტება ეკუთვნის მუდამ და ყოველთვის სახელსაო. მაგ. ბაია ყვითელი ყვავილია.

მე-6 გვერდზე ავტორი გვეუბნება: „გარემოებითი სიტყვები უჩვენებენ (?) შესმენილის სხვა-და-სხვა გარემოებას“. ერთი განმარტება გარემოებითის სიტყვებისა ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, და, თუ ავტორი დაგვეთანხმება, რომ გარემოებითი სიტყვები ეკუთვნის მარტო მოქმედებას და მიუგებს სხვა-და-სხვა საკითხავზე, მაშინ შეიტყობს თავის შეცდომას; უფრო კარგი იქნებოდა ასე: გარემოებითი სიტყვები ეკუთვნის მოქმედებას და უჩვენებს სხვა-და-სხვა გარემოებას.

მე 9 გვერდი: „მიმართვითი სიტყვა არის წინადადებაში ისეთი სიტყვა, რომლისაგნაც ჩვენი ყურადღება არის მიქცეული“. ამ განმარტებას უთუოდ ავტორი შორიდგან დაიბარებდა ან გამოიწერდა, თორემ საჩვენოში სანთლითაც ვერ იპოვიდა. ავტორის სიტყვით გამოდის, როე ყოველი სიტყვა, რომელზედაც ლოღიკური ხმის ამაღლებაა ანუ კვეთება, მიმართვითი სიტყვა უნდა იყოს. მაგ., თქვენ ბრძანდებოდით? და მეორე მაგ., თქვენ ბრძანდებოდით. ბ-ნ ავტორის სიტყვით, პირველ წინადადებაში მიმართვითი სიტყვაა „თქვენ“: მეორეში-კი „ბრძანდებოდით“. ბ-ნ ავტორს მაგალითები ბლომად მოუყვანია, მაგრამ დასკვნა-კი წესისა ვერა მაგალითების შემწეობით ვერ მოუხერხებია. თუ ავტორის განმარტებას ვუგდეთ ყური, ხომ ერთსა-და-იმავე წინადადებაში ხმის გამოცვლით შეიძლება გამოვცვალოთ მიმართვითი სიტყვა. მიმართვითი სიტყვა არის სახელი იმ საგნისა, რომელ-

ამას წინად ჩვენს ტფილისში ჰმართავდა ოპერეტების წარმოდგენას. როგორც მისულა სტამბოლში და დაუბინავებია თავისი ბარგი ბარხანა იმოდენის ტანისამოსითა და ყოველგვარი, სცენისათვის საჭირო აveჯეულობა თეატრში, გაჩენილა ცეცხლი ნაშუადღევს, სამის-ოთხის საათის წინად პირველ წარმოდგენის დაწყებამდე, და ის იმოდენა ნივთი და ავეჯი სულ გადაწვია. დასი კლოდიუსისა დიდს გაჭირვებაში ჩავარდნილა. ის იმოდენა ხალხი დარჩენილა სრულიად უნუგეშოდ და უპარაროდ. ტფილისის ფრანგულმა გაზეთმა „Caucase Jllustré“-მ გაჰმართა ხელისმოწერა დაზარალებულ დასის სასარგებლოდ და, ეჭვი არ არის, რომ ჩვენის ქალაქის საზოგადოება, მეტადრე ის ნაწილი მისი, რომელიც სიამოვნებდა ამ დასის წარმოდგენებით, არ დაიშურებს ასეთს გაჭირვებაში ჩავარდნილთათვის მცირეოდენს შემწეობას. ასეთი დახმარება დაზარალებულ ფრანგთათვის ვალად არავის წაუვა, რადგან ფრანგსა და საფრანგეთს დიდი და ბევრ-გვარი სიკეთე მიუძღვით მთელის ქვეყნიერობის წინაშე და ჯერ კიდევ დიდხანს ვერ ამოვა იმის ვალისაგან კაცობრიობა. დანანება ამისთანა შემთხვევაში მცირეოდენის შესაწევარისა უმადურობა იქნება, რადგან სწორედ ამისთანა გაცემაზეა თქმული, რომ განაცემი არ დაგეკარგებაო და

რასაცა გასცემ შენია,
რაც არა — დაკარგულიო,

*** გუშინ, ამ თთვის 15, ტფილისიდგან გაემგზავრა გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი მაქსიმილიან ქრისტიანის ძე ლანგე სასამართლოების და სხვა-და-სხვა საადმინისტრაციო დაწესებულებათა სარევიზიოდ. აქედგან ბ-ნი ლანგე თიონეთში გაემგზავრება იმავე აზრით, შემდეგ სურამს, ახალციხეს, ახალქალაქს და ტფილისის გუბერნიის სხვა ქალაქებში. ბ-ნ ლანგეს სარევიზიოდ სიარულის ბრძანება თვით იუსტიციის მინისტრის ბ-ნ მანასეინინისაგან მოსვლია.

*** გორი: ამ ორ-სამ თთვეში სამჯერ იქმნა გამართული კულა გლდანელის მონაწილეობით ჭიდაობა გორის სამოქალაქო სასწავლებლის სასარგებლოდ. პირველი და მეორე ჭიდაობა იყო 21 და 22 აპრილს, ხოლო მესამე სამს ივნისს. შემოვიდა სულ 88 მან. 20 კაპ. პირველ ორის ჭიდაობისაგან და 245 მან. 15 კაპ.—მესამისაგან.

*** ახალციხე: ახალციხელმა ებრაელმა ისხაკა გორელიშვილმა, რომელმაც პირველს მაისს მოიგო ოცი ათასი თუმანი, ამ ხანებში შესწირა 400 მან. იმ შენობის ასაგებად, რომელიც საჭიროა დასამატებელის კლასისათვის სამეურნეო განყოფილების დასაარსებლად ახალციხის სამოქალაქო სასწავლებელში.

*** ლეჩხუმის მაზრა: ჭირნახულს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს ჩვენში, პური წინა-წლებზედ შედარებით უკეთესია, სიმინდიც, თუ ამინდმა ხელი მოუმართა, იმედს იძლევა კარგის მოსავლისას. ვენახებს-კი ნაკლებად ასხია, მაგრამ რაც ასხია, იმას, ღვთის წყალობით, არავითარი სენი და ნაცარი არ ეტყობა.

*** სურამი: ისევ ძველებურად მიჰყვეს ხელი თავიანთ ხელობას აქაურმა ღამის რაინდებმა. $^{10}/_{11}$ ივნისს, ღამით, სურამის ძველ ბაზრამდე, სადაც ას დუქნამდე იქნება აქეთ-იქით, გაუტეხეს დუქანი წამალო ბეშკენოვსა და რაც-კი რამ მოეძევებოდა დუქანში, ფული თუ საქონელი, სულ ერთიანად გაზიდეს. თითქმის 400 მანეთის საღირალი არის წაღებული; ამ ქურდობამაც ისე ჩაიარა, როგორც სხვა ბევრმა ამისთანამ და დღემდე დამნაშავენი ვერ აღმოაჩინა აქაურმა პოლიციამ.

*** იქიდამვე: სურამის საზოგადოება მოულოდნელად მოელის ახალს მაზრის უფროსს, რომ თავიანთი ყოველივე შევიწროება გამოუცხადონ და შეატყობინონ.

*** ივნისის 14, ღამით, ალექსანდრეს ქუჩაზე სტარჩიკოვის სახლთან იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბიბით [illegible]

*** ამავე დღეს, პოლიციის მეხუთე ნაწილში, ფომინის ქუჩაზე, სახლის პატრონს პეტრუსა მირიმანოვს დაუკეტავის სადგურიდგან მოჰპარეს ყუთი, რომელშიაც იყო სამოცი მანეთის საღირალი სხვა-და-სხვა ნივთეულობა. ქურდი სპარსეთის ქვეშევრდომი განიხრაჯანოვი შეიპყრეს, ნაქურდალი წაართვეს და პატრონს დაუბრუნეს. დამნაშავეს ოქმი შეუდგინეს და სამართალში მისცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმის მაზრა, 4 ივნისი. დაგვიქროლა თუ არა ზაფხულის ნიავმა, „ინფლუენცია“მაც აიკრა ბარგი და მოგვშორდა თავიდგან, მაგრამ რაღა დროს, როცა, ერთის ანდაზისა არ იყოს, სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო“. სწორედ ჩვენც ასე დაგვემართა ამ ახირებულმა ახალმოდურმა სენმა. ბევრი გამოასალმა სამუდამოდ ამ წუთი-სოფელს და ვინც მთლად ვერ გამოასალმა და გადურჩა, ის-კი დაასუსტა და დააძაბუნა, რომ დღემდისაც ვერ მოუკრეფიათ ძალ-ღონე. „ინფლუენცია“-მ რაც გვიყო, გვიყო, მადლობა ღმერთს, მოვიშორეთ თავიდგან, მაგრამ ძნელი ის არის, რომ ეხლა უფრო ძლიერი სენი მოგვადგა კარს. სოფ. ჭყვიშში გაჩნდა ყვავილი და, როგორც ხმა ისმის, სისწრაფითაც ედება მცხოვრებთ. ეს მით უფრო სამწუხაროა და დასაფიქრებელი, რომ ჩვენს მოაბიო ხალხს ყვავილის შესაფერი მოვლა ძლიერ ნაკლებად ესმის, ერთმანეთს არ ერიდებიან და ამის გამო ადვილად მოსალოდნელია, რომ ეს სენი მთელს მაზრას მოედოს და მუსრი გაავლოს. ძლიერ საჭიროა ამ თავითვე მიაქციონ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მაზრის მკურნალებმა, მისცენ საჭირო დარიგება ხალხს ამ სენის თავიდგან ასაცილებლად და ავადმყოფთა რიგიანად მოსავლელად. საჭიროა აგრეთვე სოფლებში დაიგზავნონ ამცრელები და აუცრან ხალხს. ჩვენს მაზრაში ამ ჟამად ორი მკურნალია და იმათის დახმარებისა და შემწეობის დროც სწორედ ეხლა არის.

ლაილაშიდგან მაზრის რეზიდენციის ცაგერში გადატანამ, როგორც უკვე უწყიან ჩვენმა მკითხველებმა, მძიმე ცუდს მდგომარეობაში ჩააყენა ლაილაში დაბინადრებული მოვაჭრე ხალხი. ალებ-მიცემობა მეტად დაეცა. შენობები, რომლიდგანაც საკმაო ფული შემოსდიოდათ სახლის პატრონებს და ალებ-მიცემობდნენ, გარდა ერთის შენობისა, ზოგი დაანგრიეს და ზოგიც გადასწიეს ვილაც ბოროტ-მოქმედებმა. ლაილაშის პატარა ბაღი, რომელიც თავის სიკოხტავით იქაურობას ამშვენებდა, გაველანდა და დღეს უბრალო სანახავ ნიადაგად არის გადაქცეული.

ერთის სიტყვით, დაობლებულს ლაილაშს აღარც თავისი ძველი სილაზათე და შნო ატყვია. და ეკომიურადაც მეტად დაიქვეითა. ამის შემხედვარე ვაჭარი ხალხი სულით დაეცა, უიმედობამ დაიმონავა და მიეცა სალათას ძილს. მაგრამ, როგორც სჩანს, ამ დაჩაგრულს ობოლს კვლავ ბედი გაღიმებას უპირებს და მკვდრეთით აღდგენას უქადის: მაისის უკანასკნელს რიცხვებში მობძანდა ლაილაშში საგუბერნიო მთავრობის მიერ წარმოგზავნილი მოხელე და გამოუცხადა მკვიდრთ, თუ გსურთ სასამართლოების ისევ აქ დაფუძნება, საჭირო შენობები ააგეთ, ქირაზე შეგვირიგდით და გადმოვიტანთო. ვაჭრები, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით დასთანხმდნენ და ხელ-წერილიც მისცეს ზემო ხსენებულს მოხელეს, რომ ორს შენობას ავაგებთ, თქვენისავე გეგმისამებრ, ერთს მაზრის სამმართველოსათვის და ერთსაც მომრიგებელსასამართლოსათვისაო. ამ ორის შენობის ქირად მოითხოვეს რვა-ასი მანეთი. ეხლა-კი ამ გვარ სადგურების ქირად იძლევა წელიწადში ხაზინა ათასორას მანათამდის. როგორც ხმაისმის, ამ რიცხვსაც აღარ სჯერდება შენობების პატრონი ბ-ნი ახვლედიანი და კიდევ რამდენიმე ასის მანეთის მომატებას სთხოვს მთავრობას. ლაილაშში ზემოხსენებულ შენობების აგება იკისრეს საკმაოდ შეძლებულებმა: ნიკო ჯანუყვმა, ებრაელმა იოსებ მარდახაშვილმა და კიდევ ორმა სხვა ებრაელმა. მაზრის უფროსს შეჰკითხებია მთავრობა, რამდენი თუმანი დასჭირდება ცაგერიდგან ლაილაშში სასამართლოების ავეჯისა და საქმეების გადატანასაო. გაიგეს თუ არა ეს ამბავი ვაჭრებმა, მიართვეს თხოვნა მაზრის უფროსს, [illegible] ჯს სასამართლოების გადმოტანისას ჩვენა ვკისრულობთ და ეს გარემოება მთავრობას აცოდინეთო. ამასთანავე, სანამ ახალი შენობები მოთავსდებოდეს, თუ ამ თავითვე ინებებს მთავრობა სასამართლოების გადმოტანას, საჭირო შენობებს უფასოდ უთმობენ. ამ ნაირს მდგომარეობაში ვართ დღეს. ეს საქმე როგორ დაბოლოვდება, ამას დრო და ჟამი გამოაჩენს. ჩვენის აზრით, ეს განზრახული საქმე მართლა რომ ასრულდეს, დიდად სასარგებლო იქნება არა-მარტო ვაჭრებისა, არამედ სხვათათვისაც, და ხაზინაც რამდენსამე ას მანეთს დაინარჩუნებს ყოველ-წლიურად.

ქაიხოსრო გელოვანი

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა განუცხადო დროებით ს.-პეტერბურგში მცხოვრებს თავ. ივანე ალექსანდრეს ძეს ნაკაშიძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდა რწმუნებულს ქედის წმიდის გიორგის ეკკლესიას ერთი მშვენიერი გარდამოხსნა თავის ფარჩის გარდასაფარებელით, ორი ხელი ფარჩის სრული სამღვდელო შესამოსელი, ორი მთავარ-დიაკვნისა, ერთი ხელი დიაკვნის და ერთი ქმბაზი ფრანგულის ფაბრიკისა, დირებული სულ 700 მანათად.

ქედის ეკკლესიის შტატის მღვდელი
სოლომონ დუმბაძე
ოზურგეთი.

## უცხოეთი

ინგლისი. 4 ივნისს პარლამენტის კრებაზე მეტად გაცხარდა საქმე დასთა შორის. ლაპარაკი ჩამოვარდა პოლიციის მოქმედების გამო ირლანდიაში. დილლონმა იკითხა, რად იქცევა ისეთის ბარბაროსობით პოლიცია ირლანდიაშიო. ირლანდიის საქმეთა სეკრეტარმა ბალფურმა ძლივს მოასწრო პასუხი მიეცა დილლონისათვის, რომ ახლა ო'კონორმა, გილიმა და ფაულერმა დაუწყეს კითხვა ხან რისა და ხან რისა ისევ პოლიციის მოქმედების შესახებვე. დეპუტატმა კლანსიმ მოიხსენია ერთი ამბავი პოლიციის ძალმომრეობისა. ბალფურმა სთქვა, ძალმომრეობის მსხვერპლი შეიქმნენ ისინი, ვისაც დანაშაული ჰქონდათო, ვინც მოქმედებდა ავაზაკურადაო. ამაზე ასტყდა საშინელი მღელვარება და ვაი-ვაგლახი. პოლიციის საქციე-

---

საც მოლაპარაკე მიჰმართავს თავის სიტყვებს.

მე 11 გვერდი: „წინადადება, რომელიც ხსნის თავ წინადადების რომელისამე სიტყვას, იწოდება დამოკიდებულ წინადადებათ“. არის ისეთი დამოკიდებული წინადადებანი, რომელნიც ხსნიან დამოკიდებულის წინადადების რომელსამე სიტყვასვე. მაგ.. „ის იმ მდგომარეობაში იყო, როდესაც ოთხად მოხრილი დედაკაცი დაინახა, რომელსაც წინ მიუძღოდა გაცრეცილი ბიჭი“.

მე 22 გვერდი: „რთული წინადადება არის ისეთი წინადადება, რომელიც შესდგება ორის ან რამდენისამე მარტივ წინადადებისაგან, და ან ერთი თავი წინადადებაა და დანარჩენი დამოკიდებული“. ავტორს, როგორც ვატყობ, ჯერ გამოუჭრია რთულ-წინადადებათა განმარტება და შემდეგ მაგალითები ამ განმარტებაზე მოუწყვია, თუმცა-კი უნდა მკითხველი დააჯეროს, რომ განმარტება მაგალითების შემწეობით დავასკვენიო. იქნება ავტორმა სთქვას, რომ ჩვენ ვწამებთ ტყუილად ასეთს ცილს, რადგანაც წიგნში ჯერ მაგალითები აქვს მოყვანილი და შემდეგ განმარტება, და, მაშასადამე, ვითომ მაგალითებით დაამყარა თვისი განმარტება. ავტორს თითქო თავის დღეში საქმე არა ჰქონია შეგირდებთან, და ან თუ ჰქონია, უფალმა იცის, როგორ უსწავლებია! მაგრამ ჩვენ თითონ გვინახავს, როგორ ასწავლის შეგირდებს და მის-მიერ სწავლების უნარზე ცუდს ვერას ვიტყვით. რას ეტყოდა ბ-ნი ავტორი შეგირდებს, რომ გრამატიკის გაკვეთილის დროს შეხვედრიყოთ შემდეგი მაგალითი? „ფათი იჯდა მარტო, დაღონებული და ოცნებით წარსული დღეების მოგონებას ეძლეოდა; იმას თვალწინ წარმოუდგა ჯერ ის ბედნიერება, რომელსაც ტკბილათ და სასიამოვნოთ გრძნობდა ამ რამდენისამე თვის წინად“. აი სწორედ ეს წინადადება ვერ ჩაისმება ავტორისგან ჩამოსხმულ ყალიბში, რადგანაც აქ არის ორი წინადადება: ერთი შეერთებული (слитное) წინადადებაა და მეორე რთული, მორჩილი პირველისა (сложносоставное). უფრო კარგი არ იქნებოდა, ასე ეთქვა, რომ „რთული წინადადება არის ისეთი წინადადება, რომელიც შესდგება ორისა ან რამდენისამე წინადადებისაგანაო. რისთვის უნდოდა ან „მარტივი“ ან „თავი და დამოკიდებული წინადადებანი.“

ავტორი ორ ნაწილად ჰყოფს რთულ წინადადებას და ისეთ უგვარო ტერმინებს უწოდებს, რომ ძნელია მათი შეთვისება: მე 22 გვერდზე: „რთული წინადადებეები (ეს ბეებიც კარგია!) განიყოფიან: ა) გაერთებული ბ) შეერთებული“. არ მესმის! ნუ თუ გაერთე და შეაერთე ერთი და იგივეს არ ნიშნავს. აი სწორედ ამაზე იტყვიან ხოლმე: „თუ გინდ გაფრინდე, თუ გინდ გახიეო“.

მე 31 გვერდი: „არსებითი სახელი არის ისეთი ცვალებადი სიტყვის ნაწილი, რომელიც უჩვენებს საგნის სახელს“. ჯერ ცვალებად სიტყვებზე სრულებით არა უთქვამს-რა ავტორს თავის გრამატიკაში, და ეხლა-კი აქ ვხედავთ, რომ უცნობ სიტყვას ხმარობს. ნეტავ რას ნიშნავს ეს იმ კაცისაგან, რომელმაც პედაგოგია უნდა იცოდეს. გარდა ამისა, აქამდის ავტორი „სიტყვას“ ხმარობდა „слово“-ს გამოსახატავად და ეხლა-კი ერთბაშად სურს, რომ „არსებითი სახელის“ განმარტებაში შეგირდებმა სიტყვას „рѣчь“-ის მნიშვნელობა მისცენ. „არსებითი სახელი სიტყვის ნაწილია“, ამბობს ჩვენი ავტორი: მოდი და ეს გააგებინე ყმაწვილს! ან რად უნდოდა ესეთი ვცრელი განმარტება: ნუ თუ არ იცის, რომ განმარტება, რაც მოკლეა, ისა სჯობიან? განა ესე-კი არ კმაროდა: არსებითი სახელი უჩვენებს საგნის სახელს.

მე-34 გვერდი: „არსებითი სახელნი, რომელნიც იხმარებიან მხოლოობითს რიცხვში: ა, საკუთრებითი არსებითი სახელი და ბ, ფსკიერი საგანი“. ბ-ნი ავტორი თითონვე ორზე მეტს ნიშანს არ დაუწერდა შეგირდს, ამისთანა პასუხი რომ მიეცა.

ამავე გვერდზე: „შემკრებელობითი არსებითი სახელი უჩვენებს ერთგვარ საგნების კრებას“. ამ განმარტებას ბოლო აკლია, და უბოლოოდ ძლიერ მიაგავს „ფსკიერი საგნების“ განმარტებას. უნდა იყოს: შემკრებელობითი არსებითი სახელი უჩვენებს ერთგვარ საგნების კრებას, რომლიდამაც თითო საგანი, ცალკე აღებული, ატარებს თავის სახელს.

მე-81 გვერდი: „ქართულ ენაზე არის სამის გვარის ზმნა“ ა) მოქმედებითი, ბ) ვნებითი გ) უმეშვეობითი“. არ ვიცი, რად უნდოდა ავტორს, რომ სამ გვარი ზმნა ყოფილიყო ქართულ ენაში. სუყველა ზმნები ორ დიდ ნაწილად განიყოფება: „მოქმედებითი (дѣйств.) და უმეშვეობითი (средній). პირველი უჩვენებს, რომ ერთი საგანი მეორე საგნის გავლენის ქვეშ არის; მეორე გვიჩვენებს საგნის მდგომარეობას. შემდეგ შეეძლო მოქმედებითი ზმნა გაეყო კიდევ წესისამებრ.

ამითი ვათავებთ ჩვენს მოკლე წერილს, და იმედი გვაქვს, რომ ვრცლად უფრო სხვანი გაარჩევენ. ეს გრამატიკა მიღებულია ყველა სასწავლებელში, სადაც კი ქართულს ასწავლიან და სასურველი არ არის, რომ შეცდომა იყოს რამე და ამ წიგნის შემწეობით გავრცელდეს.

მიხ. ზაალიშვილი

ლიო, სთქვა დილლონმა, ბარბაროსობაა და ღრმად აღშფოთებს ადამიანის გულსაო. მერე მიმართა ბალფურს და განაგრძო: თუ სისხლი დაიქცა, თქვენ დაგედებათ, თქვენს კისერზე იქნება ის სისხლიო. სამინისტროს მომხრე სკამზე დაიწყეს ძახილი: წესიერად მოიქეცით, წესიერად! ბალფური მოჰყვა და კვლავ განაგრძო ლაპარაკი ირლანდიის მკვიდრთა ბოროტ-მოქმედების შესახებ. დაუწყეს ძახილი, დაასახელეთ, თქვით, აბა სად იყო, სად მოხდა ეგ ბოროტ მოქმედება. ამ ყვირილის დროს ბალფურმა შესძახა ო'კონორს: სიტყვა „ბოროტ-მოქმედებას“ თვით პატივცემულს ჯენტლმენსავე ვუბრუნებ კუთვნილებისამებრო. ისეთი ამბავი ატყდა ამას შემდეგ, რომ დილლონს უნდოდა ელაპარაკა, მაგრამ ველარ მოახერხა. ამ საერთო ყვირილისა და აღელვების დროს გაისმა სიტყვა ჯილისა, ბალფურმა იტყუა, სიცრუე თქვაო. სპიკერი ჩაერია საქმეში. პარლამენტი დამშვიდდა და პარნელმა ჰკითხა ბალფურს, აპირობს თუ არა მთავრობა გამოძიება დანიშნოს და გამოიკვლიოს პოლიციის მოქმედება კეტლში მომხდარის დემონსტრაციის დროსაო. ირლანდიის საქმეთა სეკრეტარმა სთქვა, რომ, არა, არ აპირობსო.

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრი-ვენგრიის ცხოვრებაში უმთავრესი ამბავია ამ ჟამად კრება დელეგაციებისა. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ სჯა და ლაპარაკი ამ კრებაზე მოსალოდნელ სამხედრო ხარჯების შესახებ. ამის გარდა საყურადღებო იყო აგრეთვე ლაპარაკი კალნოკისა, ავსტრი-ვენგრიის საპოლიტიკო ყოფა-მდგომარეობის შესახებ. კალნოკიმ ბოლგარიაზე სთქვა, რომ ეს ქვეყანა თანდათან წარმატებაში შედის და მშვიდობიანს, მყუდრო ცხოვრებას იმზადებს თავისთვისაო. მართალია, მთავარი ფერდინანდი ჯერ არ არის შეწყნარებული ევროპის დიდთა სახელმწიფოთა მიერ, როგორც ამას თხოულობს ბერლინის ხელ-შეკრულობა, მაგრამ ეს გარემოება მაინც ხელს არ უშლის მის წინ სვლასა, მის წარმატებასაო. ეხლა ბოლგარიის მთავრობა იმის ზრუნვაშია, რომ განაკარგოს და განავრცელოს თვისი ვაჭრობა, აღებ-მიცემა, წარმოება და მეტი წესი და რიგი მისცეს საეკონომიო ცხოვრებასაო. თუ ბოლგარიის მთავრობა შემდეგაც ისეთის თავ-დაჭერითა, სიფრთხილითა და შორს მხედველობით მოიქცევა, ფიქრი არაფრისა არ უნდა ჰქონდეს, ბუზსაც ვერავინ აუფრენსო. ერთის სიტყვით, ბოლგარიის ბედი თვით ბოლგარიისავე ხელშია: შეუძლიანთ დაჰღუპონ კიდეც თავიანთი თავი და ააშენონ კიდეცაო. შემდეგ კალნოკიმ სერბიაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. სერბიასთანაც ჩვენი მეგობრობა არაფრით არ შეცვლილაო, სთქვა მინისტრმა. მხოლოდ ერთმა ნაწილმა ჟურნალ-გაზეთობისამ, რომელიც უფრო მეტად გათამამებულია და აღვირ-აშვებული, იხმარა ყოველი ღონის-ძიება, რომ ავსტრი-ვენგრიისათვის დაეწამნა ისეთი რამ, რის მოქმედიც ჩვენი სახელმწიფო არ არის, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ უმთავრესი მიმართულებაც სერბიის ცხოვრებისა ჩვენი საწინააღმდეგო იყოს. მაინცა და მაინც მთავრობას სერბიისას არავითარი საბუთი არ მოუცია ასე ვიფიქროთ. თუ ჩვენდა წინააღმდეგ შეინიშნება რამ, იმასაც ჩვენ დიდს ყურადღებას არ ვაქცევთ. იმაზე ძნელი არ არის-რა, როცა დიდსა და პატარას შორის სადავო რამეა. ცამდის რომ მართალი იყოს დიდი და ძლიერი, საზოგადოება მაინც პატარასა და სუსტის მხარეს იჭერს და მოჰყვება ღაღადს, ძალა დაატანეს, დასჩაგრეს, დაიბრიყვეს. ამას ჩვენი მთავრობა ძლიერ ერიდებოდა, თორემ იყო თითო-ოროლა რამ ისეთი უსიამოვნება ჩვენ შორის, რომელიც უყურადღებოდ არ უნდა დატოვებულიყო. მაინცა და მაინც, ჩვენთვის სასარგებლო საქმეს არას არ დავთმობთ და, რაც საჭირო ღონის-ძიება იქნება, მივიღებთ, რომ ცოტაოდნად მაინც აილაგმოს ის მიმართულება სერბიის ცხოვრებისა, რომელსაც არც თვით მთავრობა თანაუგრძნობსო.

## საერთა-შორისო კრება პეტერბურგში ტუსაღთა ყოფა მდგომარეობის გაუკეთესების გამო.

პეტერბურგში იმყოფება ამ ჟამად საერთა-შორისო კრება სისხლის-სამართლის მცოდნეთა და მეცნიერთა, რომელნიც ევროპის სახელმწიფოთაგან მოიწვია რუსეთის მთავრობამ, რათა საერთოდ იქმნას განხილული და გადაწყვეტილი პატიმართა მდგომარეობის საქმე. ამ კრებას, რასაკვირველია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ექმნება საპატიმროების უკეთ მოწყობისათვის რუსეთში, მით უმეტეს, რომ გამოგზავნილნი არიან საპატიმროების უფროსები და გამგებლები და, მაშასადამე, ამ საქმის კარგად მცოდნენი და აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერებიც იღებენ მონაწილეობას.

კაცთა საზოგადოება იმ თავითვე დიდს ყურადღებას აქცევდა დანაშაულს ადამიანისას და სასტიკად სჯიდა იმას, ვინც საერთო ჩვეულებასა და წესს არ ემორჩილებოდა. მაგრამ, სანამდის ხალხმა ჯერ კიდევ მიწის მუშაობა რიგიანად არ იცოდა, მანამდის ვერავითარს სასჯელსა და შიშს ვერ შეეძლო მოესპო კაცის კვლა, ძარცვა და გლეჯა. როდესაც გერმანელები პირველად მოვიდნენ, მაგალითებრ, ევროპაში, თავის საქონლითურთ გუნდ-გუნდად მუდამ აქეთ-იქით დახეტიალობდნენ, დროს ძარცვა-გლეჯაში ატარებდნენ და, სადაც გაივლიდნენ, იმ ადგილს მუსრს გაავლებდნენ ხოლმე ასეც უნდა მოქცეულიყვნენ, რადგან მიწის შესამუშავებლად საუკეთესო წესისა და იარაღებისა იმათ არა გაეგებოდათ-რა. ცოტა ხნის შემდეგ დაიმორჩილეს ძველი განათლებული რომი და ისწავლეს მიწის მუშაობა. ხალხი დაბინავდა, დამყარდა ერთს ადგილას და უწინდელი მეომარი ახლა მშვიდობის მოყვარე მუშა კაცი შეიქმნა. მოისპო ძველებური განუწყვეტელი კაცთა-კვლა და ძარცვა გლეჯა. ეს განმშვიდება და განკეთილება კაცის ხასიათისა მით უფრო უნდა მომხდარიყო, რომ თითოეულს მუშას, თითოეულს გლეხს საკმაო მიწა-წყალი ჰქონდა, თავი ერჩინა, და გარემოება არ აიძულებდა მაინცა და მაინც სხვისთვის წაერთმია სარჩო-საზრდებელი.

მაგრამ დღეს, თუმცა მეცნიერებამ ათასი ხერხი და ოსტატობა აღმოაჩინა წარმოების გადიდებისათვის, თუმცა ევროპელის საზოგადოების სიმდიდრე ურიცხვი და უთვალავია ძველებურთან შედარებით, მაგრამ იმდენადვე უსწორ-მასწოროა ამ სიმდიდრის განაწილებაც. მაშინ, როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილი ჰყვინთავს და განცხრომას ეძლევა აუარებელს სიმდიდრეში, მეორე, მომეტებული ნაწილი, უკიდურესს უფოვაშია ჩავარდნილი და დღიურ ლუკმა-პურსაც ვერა ჰშოულობს.

აი, ამ მიზეზის გამო ისევ გამრავლდა რიცხვი „ბრალეულთა“ და „დამნაშავეთა“, ე. ი. ქურდთა, მძარცველთა, მგლეჯელთა, მატყუართა და სხ. ამ საბრალოებს თან-შობილი, თან დაყოლილი ბოროტი თვისება-კი არ აიძულებთ ჩაიდინონ ასეთი მათთვისაც არა სასიამოვნო საქციელი, არამედ გაჭირება, სისაწყლე და სიღატაკე. ამიტომ ვერავითარი სასჯელი ვერა სპობს ავ-კაცობას. უწინ იმ აზრისანი იყვნენ, რომ სასტიკი და შეუბრალებელი სასჯელი დააშინებს ბოროტს კაცებს და აღარ გაახედვინებს დანაშაულის ჩადენასაო. მაგრამ მსაჯული ხომ შიმშილზე უფრო მეტად ვერ დასჯის ადამიანს და რას უნდა შეუშინდეს, რამ უნდა აღაგზნოს და შეაკავოს, რა დაბრკოლებამ უნდა შეაჩეროს ის, ვისაც უიმედობაც სიკვდილი ფეხ და-ფეხ თან დასდევს.

მაშასადამე, საზოგადოებამ ვერ იხსნა თავი სასჯელითა და მაგიერის გადახდით. ერთის დასჯას ვერ ასწრებენ, რომ იმავე წამს მეორე დამნაშავე გამოჩნდება ხოლმე. ბოროტ მოქმედება თან-და-თან მატულობს და ჯავრს იყრის იმათზე, ვისაც ამ ქვეყნის ცხოვრება ხელში ჩაუგდია.

მეცნიერებსა და სწავლულებს, კაი ხანია, რაც კარგად ესმოდათ მიზეზი უბედურობისა და ბოროტებისა: ამ მიზეზად ისინი სთვლიდნენ თვით საზოგადოების წყობილებას. საბედნიეროდ, ახლა ეს აზრი საერთოდ ცნობილი, საერთოდ აღიარებულია, და საზოგადოება უფრო თავის თავსა სთვლის დამნაშავის უბედურების მიზეზად, ვიდრე დამნაშავეს.

რა კი ამ გვარი აზრი დამკვიდრდა, პატიმართა ბედ-იღბლის საქმეც სულ სხვა გვარად წარიმართა. საზოგადოებას ისინი-კი აღარა სძულს, არამედ ებრალება და-კი აღარ სჯის, უვლის, ასწავლის, კეთილს საქმეს აჩვევს, ზნე-ხასიათს უსწორებს.

გარდა ამისა საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაქცია უბრალო ხალხის ბედ-იღბლის გაუკეთესებას, და მრავალი საქველ-მოქმედო დაწესებულება და თვით კანონ მდებლობა ერთმანეთს ეჯიბრებიან იმ საქმეში, რომ ამ თავითვე ხელი მოუმართონ გაჭირებულ და გასაწყალებულ ოჯახებს და ძირშივე მოსპონ, ძირითურთ ვე აღმოფხვრან ბოროტ-მოქმედება.

რაც ჩვენა ვთქვით, ეს იყო დედა-აზრი ორის საჯარო ლექციისა, რომელიც წაკითხულ იქმნა პეტერბურგში იტალიის სამეფოს სენატორის ბ-ნ ტანკრედ განონიკოს მიერ და ბადენის სამინისტროს წევრის-მრჩეველის ფონ-იაგემანის მიერ.

პირველს, სხვათა შორის, ისიც უთქვამს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავე ბავშვების აღზრდასა და ზნე-ხასიათის გასწორებასაო, თუმცა არც დიდები უნდა დავსტოვოთ უყურადღებოდაო. სრული იმედი უნდა ვიქონიოთო, რომ კარგად მოწყობილი და მომართული საპატიმრო დიდებსაც გაუსწორებს და გაუკეთილშობილებს ცუდს ზნე-ხასიათსაო.

ფონ-იაგემანმა უფრო იმას მიაქცია ყურადღება, რომ იმ დამნაშავეს, რომელმაც სასჯელი გადაიხადა, განთავისუფლების დროს მთავრობამა და საზოგადოებამ შემწეობა უნდა აღმოუჩინოს, რადგანაც, თუ ისევ იმ უბედურებასა და გაჭირებაში ჩავარდა, რომელმაც პირველი დანაშაული ჩაადენინა, უთუოდ ხელ-მეორედაც დააშავებს რასმეო. გარდა ამისა, ავაზაკობისა და ცუდ-კაცობის ძირიან აღმოსაფხვრელად საჭიროა დაარსდეს ღარიბთა დამხმარებელი საქველ-მოქმედო საზოგადოებანი, უპატრონო ბავშვთა, ობოლთა და დამნაშავეების შვილთა თავ-შესაფარნი, ლოთობის მოსასპობი საზოგადოებანი და სხ.

გარდა ამისა კრებას საჭიროდ უცვნია ბევრის სხვა-და სხვა წესის შემოღება საპატიმროებში. ამ წესთა შორის ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას. ხოლო, როგორც კრებას გადაუწყვეტია, მუშაობა მხოლოდ მაშინ გამოიღებს კარგს ნაყოფს, თუ მეტისმეტი, აუტანელი არ იქმნა. ამიტომ, კრების აზრით, თითოეული სახელმწიფო თითონ უნდა უნიშნავდეს პატიმრებს სამუშაოს, მუშაობის წესი თვით სახელმწიფოსაგან უნდა იქმნეს დადგენილი, და კერძო მეფაბრიკეებსა და მექარხნეებს ნება არ უნდა ჰქონდეთ მეტისმეტის ჯაფითა და შრომით შეაწუხონ და შეავიწროვონ პატიმარნიო.

## წვრილი ამბები

საფრანგეთის გაზეთი „Europe“ ამბობს, რომ ბისმარკი შოტლანდიაში აპირობს წასვლას, რომ იქ უფრო გულდამშვიდებით იფიქროს და გარდაწყვიტოს, როგორ უნდა ვიმოქმედო შემდეგშიო.

— ჩიკაგოში დაარსდა ერთი სამეცნიერო საზოგადოება, რომლის წევრებად მხოლოდ შავ-კანიანი ზანგები არიან. თეთრ კანიანს ნება არა აქვს ამ საზოგადოების წევრად ყოფნისა.

— ინგლისში, უელსის სამთავროში, სკანზეას ახლო, გამოჩენილა კიდევ ერთი ქვა ნახშირით ფრიად მდიდარი ადგილი.

— ამერიკის ერთს გაზეთს აი რა ახირებული განცხადება მოუქცევია თავის ფურცელზედ: „ვეძებ ახალგაზდა ქალიშვილს ძროხის მწველელად. უნდა იცოდეს ფრანგული და იტალიური ენა. თუ მაინცა და მაინც იტალიური არ ეცოდინება, არაფერია. პირობა და ამასთანავე თავისი ფოტოგრაფიული სურათი გაზეთის ბიუროში გამოგზავნოს“. საკვირველია, ძროხის მწველელის ფოტოგრაფიული სურათი რაღა საჭიროა, ძროხებს უნდა უჩვენოს თუ?!..

— გუბერნატორი კოტონუ ბაიოლი მოგვითხრობს თავის ტყვეობის ამბავს დაჰომელთა მეფესთან და ამბობს: კარგად მეპყრობოდნენ, მაგრამ იძულებული ვიყავი ტყვეთა ბევრსა და საშინელს დასჯას დავსწრებოდი ხოლმე. თვის მადგა ხუთი დიდის ხარისხის მოხელე, რომელნიც არასოდეს არ მაშორებდნენ თვალს. სულ სამ სასჯელს დავესწარი. პირველჯერ და მეორეჯერ დახოცეს ოთხმოც-ოთხმოცი კაცი და მესამეჯერ 42. აი როგორი დასჯა სცოდნიათ: საბრალო მსხვერპლებს ჯერ პირში ბურთს ჩასჩრიდნენ, მერე საშინლად დაასახიჩრებდნენ და შემდეგ ფეხებით ჰკიდებდნენ ხის ტოტებზე, ასე რომ თავი ძლივსა სწვდებოდა მიწას. ამ დროს უცბად უფათრავდნენ დანით მუცელს, იმავე წამს ამოჰგლეჯდნენ ხოლმე გულ-ღვიძლსა და წლებს და შემდეგ სხეულითურთ უყრიდნენ ერთს გორაკზე მტაცებელ ფრინველებს, რომელნიც „წმინდა ფრინველებადა“ სწამთ დაგომელებს. მეტი მოთმინება აღარ მქონდა და დიდის თხოვნისა და მუდარის შემდეგ მეფემ განმათავისუფლა ამ გვარ სანახავის ცქერისაგან. მაგრამ ჩემი მდივანი და თარჯიმანი-კი იძულებულნი იყვნენ, რა ხანიც იქ დავყავით, უთუოდ დასწრებოდნენ ხოლმე ყოველს ამ გვარს საშინელს მტარვალობას. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ერთი ამბავი. ერთხელ მეფის ბანაკისათანავე ხუთასი მეომარი ქალი ეცა ხარს, ერთს წუთს გაგლიჯ-გამოგლიჯეს და იქვე შესთქვლიფეს უმად ასო-ასო დანაწილებული ხარი. ჭამის დროს ქალებს საშინლად აღრჭიალებდნენ და თან საზარელის ხმით გაჰკიოდნენ სიმღერას. ხუთმა მათგანმა ხარს თავი მოსჭრა, წამოაცვეს შუბებზე და დაჰქონდათ მოედანზე, როგორც ნადავლებ-ნაალაფევი. ქოხების ჩალიან სახურავებზე იდგნენ სადღესასწაულო ტანსაცმლით მოსილი ტყვეები, რომელნიც დიდის სიამოვნებით უყურებდნენ ამ სანახავს, ისეთის სიამოვნებით, რომ სულაც აღარ ახსოვდათ, თუ ცოტა ხნის შემდეგ იმათს წვალებაზედაც ისევე გაიხარებდნენ სხვა მაყურებლები, როგორც ისინი ხარის გაგლეჯაზედ ჰხარობდნენ. ხანდახან მეფე ჩემს წინაშე ცეკვასა და როკვას დაიწყებდა ხოლმე, რომ გავემხიარულებინე; სხვაგან რომ სადმე მენახა მისი თამაში, მართლაც რომ სიცილს ვერ შევიკავებდი, ისე სასაცილოდ უსვამდა და აბაკუნებდა ფეხებს, მაგრამ იმ დროს რაღა გამაცინებდა, შიშით გული მქონდა გადაბრუნებული. როდესაც განმათავისუფლეს, ისე გამოვიქეცი იმ წყეულ ქვეყნიდგან, რომ დღეში სამოც-და-თექვსმეტ ვერსს გამოვრბოდი.

გეგმა (პროექტი)

## წესდება

საზოგადოების კაპიტალი, აქციები, უფლება და ვალდებულება აქციის პატრონებისა.

(გაგრძელება *)

§ 8. დასაფუძნებელი კაპიტალი (თანხა) საზოგადოებისა არის ორი მილლიონი მანათი, რომელიც შეადგენს ოთხმოც ათას (80,000) აქციასა, თითო აქცია ოც და ხუთ მანეთად.

§ 9. აქციების გასყიდვის დროს უნდა მოხდეს საყოველთაოდ საცნობლად განცხადება გაზეთებში და, ვინც ადრე ჩაეწერება, ჯერ იმათ უნდა მიეცესთ აქციები და მერე შემდგომ ჩაწერილებსა.

§ 10. ხელ-მოწერის დროს თითო აქციაში ხელის მომწერმა უნდა შემოიტანოს ბედ თორმეტი მანათი და ათი შაური, დანარჩენი ნახევარი ფასი სრულიად უნდა წარმოადგინოს აქციის მიღების დროსა. ამ შემთხვევაში აქციის ბადლად მიეცემათ მხოლოდ მოწმობა.

§ 11. გამგეობას აქვს ნება მაშინ, როდესაც საზოგადოება შესდგება და გამართავს კანტორებსა, ფულის მაგივრად აქციებში მიიღოს: ღვინო, პური, სიმინდი, მატყლი და ყოველივე აბრეშუმი და ნაყოფიერობა, რომელითაც ვაჭრობს, წინადვე დადებულს ფასად. ამ საგანზე კრება ვალდებულია მისცეს გამგეობას ცალკე დარიგება (ინსტრუქცია).

§ 12. აგრეთვე შეიძლება მიეცეს გამგეობას კრებისაგან უფლება სოფლელს მეურნეს ასესხოს რაოდენიმე ფული და დაიკავოს ყოველი ჰირნახული იმ ფასად, რა ფასიც იქნება დადებული მოსავლის დროსა. ამ შემთხვევაში ფული უნდა მიეცეს უსარგებლოდ და ორის კაცის თანამდებობით. ამ ნაირი აღებ-მიცემობა უნდა სწარმოებდეს კრებისაგან მიცემულის

*) იხ. „ივერია“ № 125.

დარიგებით (ინსტრუქციით), რომელშიაც ცხადად უნდა იყოს მოხსენებული რამდენის მანათის გასესხებაც შეიძლება. ამასთან საზოგადოებას ყოველს მაზრაში უნდა ჰყავდეს სამი აგენტი მაინც, რომელნიც დასდებენ მოსავლის მაზანდასა.

§ 13. საზოგადოების დაარსება და საქმის დაწყობა უნდა გამოცხადდეს სახალხოდ გაზეთების საშუალებით.

§ 14. საზოგადოება შეირიცხება დაარსებულად მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელის-მომწერელნი ბედ შემოიტანენ ხუთი ათასის თუმნის (50,000) აქციის ნახევარ ფასსა.

§ 15. ამ წესდებულების დამტკიცების შემდგომ, საზოგადოების დაარსებამდისინ, დროებით საქმეს აწარმოებს თავად-აზნაურთა ბანკი თბილისის გუბერნიისა. აქედგან უნდა მოხდეს ყოველი განკარგულება აქციების სახყიდლად ხელის მოწერაზე. ბანკის გამგეობა, როდესაც მიიღებს ბეს 50,000 მანათის აქციისასა, მაშინ მოახდენს განკარგულებას საზოგადოების შეკრებისასა გამგეობის ამოსარჩევლად.

§ 16. როდესაც გამგეობა ამოირჩევა, მაშინ ბანკის გამგეობა გადასცემს, კუთვნილებისამებრ, ყოველს ნაწარმოებს საქმესა, მოგროვებულს ფულსა და აქციების წიგნსა ახალს მოვაჭრე საზოგადოების გამგეობასა. გამგეობა დაურიგებს აქციებს, ვინც სრულად შემოიტანს აქციების ფულსა.

§ 17. შემდგომ, როდესაც ვაჭართა საზოგადოების საქმე გავრცელდება და საჭიროება მოითხოვს, საზოგადოებას შეუძლია მოუმატოს თავის თანხას ახალის აქციების გამოცემით, თუ მთავრობა ნებას დართავს.

§ 18. მეორედ და მესამედ გამოცემული აქციები უნდა იყვნენ იმავე ფასისა და გაიყიდოს სწორედ იმავე წესით, როგორც პირველი აქციები.

§ 19. საზოგადოებამ, შეიძლება, იქონიოს, სურვილისამებრ, სახელწოდებული და უსახელო აქციები, ე. ი. ისეთი აქციები, რომელზედაც იქნება წარწერილი მისი წოდება, სახელი და გვარი, ვისაც აქცია ეკუთვნის, და ისეთიც, რომელზედაც არ ეწერება სახელი და გვარი. მაშასადამე, აქცია იქნება საკუთრება იმისი, ვისაც ხელში უჭირავს.

§ 20. აქციები უნდა იყვნეს წიგნივით ყდა გადაკრული და რიგზე განუმრული. ფულის შემომტანს მიეცემა აქცია, რომელზედაც ხელი უნდა ეწეროს: გამგეობის თავმჯდომარესა, ორს წევრსა, ერთს რევიზორსა და ხაზინადარსა, და აჯდეს საზოგადოების ბეჭედი.

§ 21. აქციის ფული არავის აქვს ნება გაიტანოს ათის წლის განმავლობამდისინ, თუ თითონ საზოგადოება არა ჰპოებს ფულის დაბრუნებასა თავის სასარგებლოდ და თითონ საზოგადოებას-კი არა აქვს ნება ფულის ძალად დაბრუნებისა, თუ აქციონერი არ ითხოვს.

§ 22. ათის წლის განმავლობაში აქციის პატრონს ეძლევა სარგებელი. ამისათვის ყოველს აქციას აქვს კუპონების ფურცელი სარგებლის მიილევა, ხელ-ახლა მიეცემათ კუპონების ფურცელი აგრეთვე ათის წლის ვადით.

(შემდეგი იქნება)

## დეპეშა

14 ივნისი

პეტერბურგი. საპყრობილეების საქმის მცოდნეთა, რომელნიც პეტერბურგში ოფიციალურად არიან მოწვეულნი, კრებათა დაწყებამდე კონგრესის მოსაწვევად დაარსებულმა კომმისიამ საუზმე გაუმართა. საუზმის დროს პრინც ოლდენბურგელს მოუვიდა ხელმწიფე იმპერატორისაგან შემდეგი დეპეშა: „იმპერატრიცა და მე გულითადს მადლობას ვუთვლით კრებას. იმედი მაქვს, კრების შრომა გამოიღებს კეთილს ნაყოფს საზოგადო საქმისათვის და ყველა მისი წევრი ყოველთვის სიამოვნებით მოიგონებს დროს რუსეთში ყოფნისას.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ მოლაპარაკება აქვთ და უნდათ აღუკრძალონ ურიებს ზოგიერთს სამრეწველო საქმესა და ხელობაში მონაწილეობის მიღებაო.

მალე დაარსდება განსაკუთრებული კომისია რუსეთსა და სერბიას შორის დასადებ ხელ-შეკრულობის შესამუშავებლად და დამტკიცებულ იქმნება სავაჭრო ხელ-შეკრულობა ოსმალეთთან.

„Гражд.“ გაუგონია, რომ ტულის საიარაღო ქარხანაში მალე მომზადდება ყოველ გვარი მოწყობილობა, უკომლო წამლის დიდ-ძალ იარაღის გასაკეთებლადაო.

რომი. ის ამბავი, რომ ვითომც ვენეციასა და ნეაპოლში ხოლერა არისო, სრულიად უსაბუთოა.

მადრიდი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ 14 ალაგას, სადაც ხოლერა გაჩნდა, 24 ივნისამდის სულ 194 შემთხვევა იყო ამ ჭირით ავადგახდომისა და მათში 112 გარდაიცვალაო. ყველაზე მეტად ხალხი რუგატში იმსხვერპლა ამ ჭირმაო.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი 3%-დგან 4%-მდე.

15 ივნისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო საბჭოსი, რომ გადადებულ იქმნას ბაქის შემოლება ჭაჭისა და ხილისაგან გამოხდილის სპირტისათვის ჩრდილო-კავკასიასა და ამიერ-კავკასიაში; რომ მიღებულ იქმნას ღონისძიებანი წასახალისებლად სოფლად არაყის გამოხდისა და რომ შეუერთდეს ვარშავა-ბრომბერგის რკინის გზა ვარშავა-ვენისას და ამ უკანასკნელ გზის წმინდა მოგებაში წილი დაედოს მთავრობასაც.

«Гражданинъ»-ი ამბობს, რომ გუშინ დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის მიერ გარდაწყვეტილება ტარიფების კომიტეტისაო. ეს გარდაწყვეტილება შეეხება ბაჟს შიგ რუსეთში შემოტანილის უცხო ქვეყნების საქონლისას მის გადატან-გადმოტანისათვის. ამ ნაბრად ყველა საბაჟოში, ზღვისა იქნება იგი საბაჟო, თუ ხმელეთისა. ხოლო რაც დღემდე შემოსატან საქონელზე ბაჟი დაწესებული, ყველა მოისპობა 20 დეკემბრიდამაო.

„С.-Пет. Вѣд.“ ი იუწყება, რომ განზრახვა აქვთ, რაც-კი მოძრავი საქმეა რკინის გზებზე, ყოველივე ხაზინის ხელში იქმნას მიცემულიო. ეს გარემოება გააადვილებს იმ საგნის გადაწყვეტას, რომ ერთს ალაგას აღარ დაბანდდეს სადმე გასაგზავნი საქონელი. გააადვილებს აგრეთვე იმასაც, რომ მოისპოს საქონლის გამგზავნთათვის მავნებელი ცილობა და ჯიბრი რკინის გზათა შორის.

აპირობენ დააწესონ ვაჭრობის დეპარტამენტში ცალკე კომისია, რომელსაც მიანდობენ ყური უგდოს შინაურ წარმოებისა და მრეწველობის საქმეს.

რომი. საერო ჯან-მრთელობის დეპარტამენტი სრულიად უარ-ჰყოფს, რომ ვითომ იტალიაში ხოლერა გაჩენილიყოს და აცხადებს, რომ მთელს იტალიაში მშვენივრად არის მოწყობილი საქმე სისუფთავის დაცვისა.

ბერლინი. რეიხსტაგმა გადასწყვიტა, რომ რიცხვი ჯარისა მშვიდობიანობის დროს იყოს, მთავრობის აღრიცხვისამებრ, 486,989 კაციო.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ივნისი.

| | მყიდველნი-სა. | გამყიდველთ-ისა. | გაყიდულ-ისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 99 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 139¾ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 09 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 235½ |
| —მეორისა . . . . . | 215¾ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | 213¼ | — „ | 213 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზ ამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი», —სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისის გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი შემდეგ უნდა გამოგზავნოს.

# კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის საბატოში (GIRONDE)



ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც დიდ სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—20)



სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის

არყის ხის ბალზამი დ-რის ლენგილიასი.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას და ხელ-მოწერილს ჩვენის ერთად ერთ აგენტის ვასილ აურისახას ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნი ქუჩ ზედ, 18—19.

ფასი: შუშა ღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ბოზო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ღირს 70 კ., აზიის რუსეთს 1 მან.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

ტფილისს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, გ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.

(19—10)

| | |
|---|---|
| ბამბა „გავანნა“ თამბაქოს მხმარებელთათვის. | ეს ბამბა, პაპიროზში ჩადებული, სპობს ნიკოტინსა და სხვა მავნე ნივთიერებას, ამითი იცავს თამბაქოს მხმარებელის ჯანის სიმრთელეს და აგრეთვე თამბაქოს გემოს უკეთებს და უმჯობესებს. ყუთი ღირს 10 კაპ. ბ-ხთ სხვა ქვეყნელთ 3 მანათად გაეგზავნებათ 25 ყუთი. ვაჭრებს შეღავათიანად და ნაკლებ ფასად დაეთმობათ. |
| საპონი „საპოლი“ სარეცხისათვის უვნებელი. | სარეცხის გასარეცხად ცივს წყალში თითო ნაჭერი, ნახევარი ნაჭერი. 30 კაპ. 15 კაპ. |
| პეწიანი ლაქი ა. ვინცელისა. | ქალისა და ყრმის ფეხთ საცმელისა, ცხენის იარაღისა და სხვათათვის. თითო შუშა ჰღირს 40 კაპ. |
| ფხვნილი ბრილიანტინი რედეზისისა ტროიცკში. | ყოველ გვარ ლითონთა საწმენდელად ერთის შეკვრის ½ ¼ ⅛ 30 15 8 კაპ. |
| მსოფლიო ცემენტი ადოლფ ბერისა. | ფაიფურისა, მინისა, ხისა და სხვათა შესაწებებლად. შუშა ღირს 25 კაპ. |
| პეწიანი სახამებელი ადოლფ ბერისა. | ჩვეულებრივს სახამებელში შესარევად. ერთი შეკვრა ღირს 26 კაპ. |

ისყიდება ყველა საათფთიაქო და საწვრილმანო დუქანში.

უმთავრესი საწყობი იმყოფება ალექსანდრე ვენცელთან, ს.-პეტერბურგს, ეკატერინეს უბანი, სახ. № 26. მოსკოვს, კარეტნაია სადოვაია, სახ. მალინინისა. (8—2)

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის გვერდზე, გავმართე მდიდრულად მორთული ნომრები:

„დ ა ნ ი ა“

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

სურველთა ვის საგანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

კანტორას თავ-მდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზიითა და პატივისცემით მოეპყრობიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ.
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. } მსურველთ ფინჯანი უფასო.

გვაქვს საკუთარი მოსარეჯე და იფრინდება ეკიპაჟით გასაგზავნად. ნომრების პატრონი პეტრე საფარეშვილი.

(30—27)


Доз. ценз. Тифлисъ, 15-го Іюня 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე